№ 247 ნოემბრის 16, პარასკევი. 1866—1884 ნოემბრის 16, პარასკევი. № 247.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ქნეინა ანნა ილიას ასული ჭავჭავაძისა, ძე მისი და ასულნი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს თ. დავით ალექსანდრეს-ძის ჭავჭავაძის გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ამ ნოემბრის 15-ს. პანაშვიდი იქნება ყოველდღე, 1 საათზე და საღამოს 7 საათზედ, განსვენებულის სადგურზედ.

(2—1)

## შესანიშნავი მუზეუმი პინტერისა.



პატივის ცემით ვაცნობებ თბილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის 8-დამ მუდამ დღეს, დილის 10 საათ. საღამოს 11-მდის გახსნილი იქმნება სახელ-განთქმული სრულიად ევროპაში და რუსეთში პინტერის მუზეუმი. ჩემი მუზეუმი დიდად წინა დგას და შეუდარებლად უკეთესია სხვა მუზეუმებზე, რაშიაც მნახველნი დარწმუნდებიან ადვილად.

მუზეუმში არის შემდეგი განყოფილებანი: I. მეხანიკური კაბინეტი და თაფლის სანთლის ფიგურები. II. საუკეთესო სურათები: შესანიშნავის ქალაქებისა და უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომიანობისა.

III. დიდი კოლექცია ავტომატებისა, პარიჟის გამოფენაზე შექმნილნი, IV. ისპანიის ინკვიზიცია.

ფასი შესვლისა 40/კ., ბავშვები 10 წლისა და სამხედრო მდაბალის ჩინისანი იხდიან 20 კაპ.

იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება კეთილ-ინებებს მობრძანებას ჩემს მუზეუმში, გალავინის პროსპექტზე, რაზგონი ფოსტის პირ-და-პირ. (4—1)

## შინაური ქრონიკა

== თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში «ვისრამიანის» რედაქციას უპოვრია ნემეცური თარგმანი ამ წიგნისა, რომელსაც მრავლად შენიშვნები აქვს ჩართული. ცხადია, რომ «ვისრამიანი» რომელიმე აზიური ენიდამ იქმნება გადათარგმნილი ნემეცურს ენაზე და თვით კომენტარიები და შენიშვნები ც მცოდნე ორიენტალისტისაგან იქმნება ჩართული. სასურველი იქნებოდა, რომ ეს წიგნი ნემეცურის მცოდნეს შეედარებინა ქართულის ტექსტისათვის და გადაეთარგმნა თვით შენიშვნები და კომენტარიები. ამით ნათელი მოეფინებოდა ამ შესანიშნავის წიგნის ვითარებას და იქნება ისიც გამორკვეულიყო, როდის არის იგი დაწერილი, ან ვისგან და რა ენაზე.

== ნოემბრის 17-ს, ხანგრძლივის დასვენების შემდეგ, ხელ-ახლად შეიკრიბება კავკასიის იურიდიული საზოგადოება და, როგორც „იურიდიული მიმოხილვა“ ამბობს, მსჯელობის საგნად ექმნება ამ სხდომაზე იუსტიციის მინისტრის წინადადება იმის თაობაზე, რომ საზოგადოებამ წარუდგინოს თავისი შენიშვნები ახალი სისხლის სამართალის პროექტის შესახებ.

== შაბათს ამ თვის 17-სავე თბილისის სასამართლოში დანიშნულია საყურადღებო საქმე ბ-ნის ყიფიანის მიერ მეორე კლასიკურის გიმნაზიის დირექტორის მოქმედებით შეურაცხყოფის შესახებ.

== ბათუმის «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სკოლაში ამ ჟამად სწავლობს თურმე 65 მოსწავლე მათ რიცხვში 30 მაჰმადიანია, დანარჩენები ქრისტიანები. უკანასკნელთ შორის ბევრი ურევია მეგრელები და აფხაზები.

== ჩვენის გაზეთის სამშაბათის №-ში (245) „შინაურს ქრონიკაში“ დაბეჭდილს ამბავს, რომ ქუთაისის გუბერნიის ერთს დაბაში ერთის დაწესებულების უფროსს შეურაცხყოფა მიაყენეს მოქმედებითაო, უნდა დავსძინოთ კიდევ შემდეგი ძნელად დასაჯერებელი გარემოება: სამი უმთავრესი დამნაშავე, რომელთაც უცემიათ ხსენებული უფროსი, მაშინვე დაუჭერიათ და დანარჩენები ეტაპით გაუსტუმრებიათ თავ-თავიანთ სახლში.

== გაზ. „მე-დუს“ რედაქცია აცხადებს ხელის-მოწერას მომავალის 1885 წლისათვის და ჩივის, რომ ამ წლის განმავლობაში გაზეთი ნივთიერად მალიან შევიწროებული იყოო. ამ წელს გაზეთს ჰყოლია მხოლოდ 360 ხელის მომწერი, რომელთ შორისაც 70 უფასონი ყოფილან, ხოლო დანარჩენ 290-თაგან ბევრს ჯერაც ფული არ შემოუტანია და რედაქცია თურმე ყოველ ნომერში აცხადებს ამ გარემოებას (გაზ. „კავკაზი“.)

## კახეთის ავი და კარგი.

ბევრი წვა და დაგვა გამოუვლია გარ შემორტყმულ მტრებისაგან, როგორც საქართველოს ყოველ კუთხეკუნჭულს, ისე სოფელ შილდასაც. ვინ მოსთვლის რამდენჯერ არის დამწვარი და აოხრებული თვის გრძელ სიცოცხლეში ამ მეცხრამეტე საუკუნემდე! უკანასკნელ შამილის გადმოსვლის დროს კახეთში,— „ქვა ქვაზედ აღარ დააყენეს“ ისე გადასწვეს ლეკებმა შილდა — მაგრამ არც

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 16-ს

## ბიბლიოგრაფია

ისტორია მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის გიორგი მიხეილის-ძის ქართველთ ქვეითის დრუჟინისა 1831—1881 წ. შედგენილი რუსულს ენაზე ნ. ა. ვოლკონსკის მიერ. თარგმნილი ქართულად გაზ. „დროების“ რედაქციისაგან. ფ. 3 მ.

წიგნი, რომლის სათაური ჩვენ აქვე ამოვწერეთ, ამ დღეებში იქმნა დაბეჭდილი ქართულად. რუსულს ენაზე იგი შედგენილია ბ. ნ. ა. ვოლკონსკის მიერ, რომელსაც რამდენიმე წელიწადი მოუნდომებია ქართველთქვეითი დრუჟინის ისტორიის შესასწავლელად. მას დიდის გულდადებით გადაუსინჯავს ყველა საქმეები ამ დრუჟინისა და, ოფიციალურ წყაროთა გარდა, უსარგებლნია კერძოდ შეკრებილ ცნობებითაც, რომელნიც გაფანტულნი არიან სხვა-და-სხვა სპეციალურ წიგნებში. ავტორს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ის თქმულებანიც, რომელნიც თანამედროვე კერძო პირთაგან გაუგონია, და არა თუ ისეთ თანამედროვეთაგან, რომელთაც გაგონებით სცოდნიათ რომელიმე საქმის გარემოება, არამედ რომელნიც თვით მონაწილენი ყოფილან ამ საქმისა. ისეთ პირთაგან მაგალითად, როგორც თ. ლევან მელიქიშვილია, რომელიც ამ დრუჟინის უფროსად მაშინ იყო დანიშნული, როცა იგი ჯერ ისევ განუსაზღვრელ მდგომარეობაში იყო, როცა დრუჟინის მაგივრად მას ეწოდებოდა „პოლკი“ და ყველა ის უფლება და უპირატესობანი არა ჰქონდა მინიჭებული, რომელნიც შემდეგ მიენიჭა დრუჟინას სხვა მწყობრთა ჯარებთან ერთად.

ქართველი ქვეითი პოლკი შესდგა 1831 წ. პოლკის დაარსების მიზეზად შეიქმნა მთიელთ მოუსვენრობა კახეთის ჩრდილო სამზღვარზე. აქ მთებში, როგორც ვიცით, მოსახლობდენ ლეკთა სხვა-და-სხვა საზოგადოებანი, რომელნიც მუდამ თავს ესხმოდენ კახეთის მშვიდობიან მცხოვრებელთ, აოხრებდენ სოფლებს,ატყვევებდენ მრავლად ხალხს და აწიოკებდენ მთელს ქვეყანას. ლეკების თავდასხმა არა თუ კახეთზე, თითქმის მთელის აღმოსავლეთის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებზე, მარტო ამ საუკუნეში არ შეინიშნება. იგინი ადრიდგანვე აწუხებენ საქართველოს და თან-და-თან, რაც დრო გადიოდა, უფრო-და-უფრო მ[illegible]ვარებას იჩენდენ. უველამ ი[illegible] ავდე მივიდა მათი გაბედულობა მე-XVIII საუკუნეში, როცა ყოველი მთა და ტყე თითქმის ლეკების საფარს წარმოადგენდა და ხალხი ისე დაშინდა მათი ბარბაროსული და მტარვალური, ქურდული [illegible], რომ მუდამ შეიარაღებული და მზად უნდა ყოფილიყო და მდევარი დაეძახნა სოფლად შემოპარულის ლეკების განსადევნელად. ეს გარემოება უფრო მეტის სიძლიერით იჩენდა თავს კახეთში, სიდაც ლეკთა საზოგადოებათაგან პირ-და-პირ ჩამოდიოდა გზები. ზაიხსნებოდენ თუ არა ეს გზები გაზაფხულზე, მთელი კახეთი მუდამ შიშსა და შევიწროებაში უნდა ყოფილიყო. მართალია ხშირად და ძალიან ხშირად ძვირად დაუჯდებოდათ ხოლმე ლეკებს თავიანთი გამოლაშქრება ბარისაკენ და ქართველები იმათ სისხლსა სვამდენ, სადაც კი მოასწრებდენ ხოლმე, მაგრამ მაინც, რაკი მათი დევნის საქმე ერთხელვე ერთის წესითა და რიგით ვერ დაეწყო, იმათ მაინც კრიჭა ვერ შეეკრათ და უფრო გათამამებულნი, რაზმ-რაზმად, ბელადების წინამძღვრობით, ჩამოდიოდენ სადაველოდ და იტაცებდენ ქურდულად, რასაც კი მოასწრობდენ. იმათი მთები, დაფენილი თოვლით რვა-ცხრა თვის განმავლობაში, ღარიბი სახნავ-სათესი მიწებით, ბუნება, აღმზრდელი ამაყისა და მტაცებელის ომარის ხალხისა, თითქო აქეზებდა მათ ქვეყნისა და ხალხის აოხრების საქმეში. თვით სარწმუნოება მაჰმადისა, რომელიც გავრცელდა და გაძლიერდა მთებში ამ საუკუნეში, შეიქნა ერთს მომეტებულ მიზეზად, რომლის გამოც ერთხელვე ატეხილი ბრძოლა ლეკთა და ქართველთ შორის მეტის მძვინვარებით სწარმოებდა.

სპარსეთი და ოსმალო, გულდაწყვეტილი იმ გარემოებით, რომ საქართველო ვერც ერთმა მათგანმა ვერ ჩაიგდო ხელში, გულს-მოდგინედ ავრცელებდენ მაჰმადის სარწმუნოებას მთებში, ახელებდენ მთიელთ, როგორც ჩვენის ქვეყნის, ისე რუსთა წინაამდეგ. და მართლაც სადმე სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეკები დარჩენილან დაუსჯელნი, ისე გასწყვიტეს შილდელებმა ლეკები, რომ სამი დღის განმავალობაში მთელი სოფლის მუშაობამ არ იკმარა ქუჩებიდგან დახოცილის ლეკების მძოვრის გასაზიდად თუმცა ამდენი ვაი-ვაგლახის გადამხდელია შილდა, მაგრამ ფენიქსებრ განახლებული, დღეს ისევ დედაბოძივითა სდგას.—მცხოვრებლები ითვლება რვაას კომლამდე ამათ შორის ოთხიოდ კომლი თავადია, ოთხი კომლი სომეხი—სამი მ—ლი; დანარჩენი ხალხი გლეხობაა აქაური გლეხი იგივე მეპურმარილე, წრფელი სიმართლის მოყვარე და ერთობის მიმდევარი ქართველია,—თუმცა აქაც კი ურევია ერთი ორიოდე იმისთანა წვეროსანი, როგორც იუდა ისკარიოტელი, რომელსაც ხალხი საგლეჯ-საცარცვავად მიაჩნია და თვისი ბილწი მოქმედებით ამღვრევენ იმ წმინდა მოჩქეფარ ანკარა ნაკადულს—რომელსაც ერის ცხოვრებას უწოდებენ!... ამათ არ ესმით ჩვენი პოეტის სიტყვები:—

,,ერი ერის-კაცობდეს,
სჯულს არა სტეხდეს მ—ლი
ხალხი ცხვრად არ მიაჩნდეს,
არც თვით იყოს მგელი''.

X

წელს ვერც მამასახლისი დაუნიშნეს შესაფერი შილდას; დიაღ ვერ დაუნიშნეს მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სოფელმა ამოირჩია მ. მ—შვილი, ისაკ არუთინოვი-კი წარედგინას მამასახლისად. სოფელს ეს ვერაფრად ეჭაშნიკა, შილდელებმა ამოირჩიეს ა. ნიკოლოიშვილი მამასახლისად, (რომელიც ცხრა წელიწადი ზედიზედ ნაცვლად არის). რუსთაველისა არ იყოს, ,,მძლეთა მებრძოლთა მძლეობა'' ვერ შესძლეს გლეხებმა და მამასახლისობა ისევ არუთინამ იგდო ხელში!.. ეს არის მიზეზი რომ დღეს შილდა ჩარჩ-მეკილებით არის სავსე, რომელთაც, არუთინას წყალობით, გზა ხსნილი აქვსთ და წურბელასავით მოქმედობენ, მეტადრე ამ შემოდგომაზე. დღეს შილდის მამასახლისი არუთინა ითვლება თელავის მოვაჭრე ს--სებისადმი ჩვენის ვითარების იდუმალ გამცემლად, რადგანაც მისი წყალობით ყოველთვის იციან, რომელ შილდელ გლეხს რა აქვს გასასყიდი და ან რა დროს სჭირდება მას ფული, რათა ერთი ათად და ოცად ღირებულზედ მეტი დასცინცლონ გლეხებს.—აი მოდის დედა-კაცი და ემუდარება მამასახლისს.

— ისაკო ი შენი დედმამის მზესა, ნუ დამღუპავ, ორი დღე მადროვე ისემც ღმერთი გაგიძლიერებს შვილებსა, ასალები მაქვს და ან ღირებულ ფასად გავყიდი რასმეს. ნუ დამიშლევ, შენი ღვთის გულისათვის, ი ჩემ ობლებსა.

— რაო? თუ გაყიდვა გინდოდა, რატო ჩემ ნათლია მელქოს არ მიყიდე?

— ვაი, დამიდგეს თვალები; შე ქრისტიანო, რვა მანეთის საღირალი საფერავი მანეთად მიმეცა? დაკრეფა აღარ უნდოდა?

— ჰო! და მაშ ის გირჩევნია რალა, რომ ეხლავე ,,სტროლში'' აბაზად გავყიდი?—გზირებო! წაიყვანეთ ვინმე და ეხლავე აქ ,,კანცელარიასთან'' ჩამოიტანეთ, რაც საფერავი ჰქონდეს ამასა და ,,დობრუსტებსაც'' (ვითომ და კეთილ სვინიდისიანებსო) დაუძახეთ,

— ისაკო! ნუ გვღუპავ, თორემ ჩვენის ცოდვით შენ კეთილი არა დაგეყრება-რა.

ბული გიშფოთავს ამ სანახაობაზედ მაგრამ, მეტი ღონე არ არის, უნდა დამშვიდდე. მიდიხარ მამასახლისთან და ეკითხები:—რად სჩადი ამას და რომელი უფლებით?

— ვა! მაშ ჭამა არ გვინდა, ამდენ ხალხს ვერ უყურებ? (მიმითითა მ—სმა გზირებზედ და მოხელეებზედ) მაშ მე ვაჭამო? კარგად ლაპარაკობ!

— საზოგადოდ ბოქაულს ჯამაგირი ეძლევა და ყოველისფერით დათავდარიგებულია: როგორც ჯამაგირით ისე ცხენის ქირით, ხარჯით და სხვა; სოფელი რა ვალდებულია, რომ თქვენ მუქთად გარჩინოსთ?...

— ვაი! კანონი რად მინდა მაგაზედ?

— როგორ თუ, რად გინდა? მაშ რომ გიჩივლონ პასუხს არ აგებ' თუნდ მაგ ქათმებისთვის?

— ქათმებისთვის? ამბობს ღრექით, მაგითი არა უშამსრა; თუ იჩივლებს, ვეტყვი, თუ ხარჯის ფული ემართა, იმაში დავუკალი და ,,სტროლში'' გავყიდეთქო.

— თუ საჯარო ვაჭრობით გაყიდდი—ქათმების მეპატრონეების ვალის შესავსებად არ უნდა გაგეყიდა? სად არის მერე ის ფული?!

— ვა! ჯიბეშია, ვეტყვი თუ ორ კაპიკად გავყიდე; მაგითიც არა უშამსრა?—მერე ვინ მიჩივლებს (არუთინა წელში გაიმართა). ესაა? (ტუჩების დამანჭვით წარმოსთქვა და მიმიშვირა ერთ ქვრივ ოხერზედ ხელი) მაგან რა იცის? მერე რო იჩივლოს, იცის რა დღეს დავაყენებ? რას ამბობ, რას?!

(დასასრული შემდეგში)

---

სა ბა ა სო

# ორიოდე სიტყვა ბ. ვლ. ალნიაშვილს.

ჩვენ წავიკითხეთ ბ. ალნიაშვილის წერილი და მეტად გავკვირდით. ბ. ალნიაშვილი გვემდურება, რომ უსაფუძლოდ გავრიეთ საქმეში თბილისის კათოლიკეთა სკოლები. საიდამ სადა! ჩვენ თბილისის კათოლიკეთა სკოლებზე სიტყვაც არ ამოგვიღია. ვამბობდით თბილისის კათოლიკეთა სკოლების წესდებაზე, რომელიც დამტკიცებულია 1856-ს წ. და რომელიც წარმოგვიდგინა პრელატმა ქუთაისის სკოლებისათვის. გვიბრძანეთ ერთი, რა ჩვენი ბრალია, რომ პრელატმა არ წარმოგვიდგინა რალაც დაუმტკიცებელი ახალი წესდება თბილისის სკოლებისა?! ვისაც სამდურავი ეთქმის ის-კი დაუტოვებია ბ. ალნიაშვილს და ჩვენს წინაალმდეგ გამოლაშქრებულა.

ამას გარდა ბ. ალნიაშვილს ერთი ტყუილი მოუგონია: ვითომც შარშან ქუთაისის კათოლიკეთა სკოლის კომიტეტს მიეღოს თბილისის კათოლიკეთა სკოლების პროგრამა და წესდება. თუკი წესდება და პროგრამა იყო, ერთი მიბრძანეთ,—რაღა საჭირო იყო 1856 წლის წესდების და პროგრამის წარმოდგენა და ამოდენა აყალ-მაყალი?! ქუთაისის სკოლის კომიტეტი, არც-კი არსებობს, არავითარი წესდება და პროგრამა არ განუხილავს და არც მიუღია. ამაზე მოწამედ მომყავს თვით სკოლის კომიტეტი. შარშან, მართალია, გვაჩვენეს რალაც ახალი წესდება და პროგრამა თბილისის კათოლიკეთა სკოლებისა, მაგრამ ამასაც წუნი დავსდეთ ზოგიერთს რამეში. არ მოგვეწონა, მაგალითებრ, უფრო იმისათვის, რომ ამ წესდებაში კარგად არ იყო განსაზღვრული სკოლის კომიტეტის უფლება და მღვდელს ყოველთვის შეეძლო აეცილებინა კომიტეტის გარევა სკოლის საქმეში. ეს გარემოება გაუგონია ბ. ალნიაშვილს და გადაუსხვაფერებია. აი ნამდვილი გმირობა ეს გახლავთ. გმირობა მაშ

---

გან, ვგონებთ, იშვიათად უწარმოვენია ისეთი მძვინვარებით და სასტიკობით გამუდმებულს ბრძოლას, როგორიც სწარმოებდა ერთის მხრით მთიელთა და მეორის მხრით ჯერ ქართველთა და მერმე რუსთა-შორისაც. მთელი პოლიტიკა სპარსეთისა და ოსმალოსი მე-XVIII საუკუნეში და შემდეგ ამ საუკუნის დამდეგაც შემდეგის ფრაზით გამოითქმოდა: საქართველომ მიიღო მხარე რუსეთისა, მაშასადამე იგი უნდა ან განადგურდეს ან ისევ ჩვენვე დაგვიბრუნდეს. ამისათვის ყოველ-გვარი ღონის-ძიება იქმნა ხმარებული და სხვათაშორის ლეკებიც მოგვისისინეს. ხანგრძლივის ისტორიის ე. ი. ბრძოლის მტვირთველი, და გამოვლილი ქართველობა ნელნელა სუსტდებოდა უკანასკნელს დროს და სულ ბოლოს ისე დასუსტდა, რომ გამოჩენილმა მეფემ, დიდმა სარდალმა და ენერგიით სავსე ერეკლემაც კი მხოლოდ რამდენსამე ხანს აღამაღლა მისი სახელი, მიანიჭა ძალა, დაუმორჩილა განჯა და ერევანი, დაიმეზობლა სახანოები და თითქმის მთავარი მფლობელი შეიქმნა მთელს კავკასიაში. ლეკები მის დროს ყველგან თავ-ზარ დაცემულნი იყვნენ და ველარა ბედავდენ თავისუფლად ნავარდობას. ერეკლესგან დაარსებულმა მორიგის ლაშქარმა ფრთები შეაკვეცა მათს უწესო და ქურდო[illegible] შემოპარვას და მათი ცარცვა [illegible]ზევა მაშინ ისე აღარ აწუხებდა ხალხს.

დრომ განვლო, ცვლილებანი მოხდენ და ძლიერმა რუსეთმა ხელში დაიჭირა თითქმის მთელი კავკასია. მან იძულებული გახადა სპარსეთიცა და ოსმალოც პატივი ეცა მისი მეზობლობისათვის. შეელაფერი დაწყნარდა, მაგრამ ქართველთა და ლეკთ შორის საუკუნოებით აღმონაცენი ზიზღი და მძულვარება ისევ დარჩა, ღარიბისა და მდიდარის მეზობელის ერთად მოთავსება არ მოხერხდა. რუსის მთავრობამ მხოლოდ წესი და რიგი მისცა ქართველთ მხრით ქვეყნის დაცვის საქმეს. მან მოკრიბა ერთხელ 500 კაცი დროებით საყარაულოებზე დასაყენებლად ბარის ლეკთა (ჭარ-ბელაქანი) წინაალმდეგ. ეს რიცხვი ხან შემცირდებოდა, ხან მოემატებოდა საჭიროებისამებრ. ხან სულ დაითხოვდენ ხოლმე ზამთრობით. მეორედაც ასე მოიქცა მმართებლობა, მესამედაც და ამ გვარად ნელნელა შესდგა ქართველთ ჯარი ანუ „ჯარის პოლკი", როგორც ქართველები უწოდებდენ—(რუსულად ПОЛКЪ-ДДЖРЪ, ეს უკანასკნელი სიტყვა არ უნდა შეირიოს მეორე ამ გვარ სიტყვასთან, რომელიც ნიშნავს ჭარელს ლეკს).

18 წელი არსებობდა ეს «პოლკი» და თან-და თან უფრო-და-უფრო ძლიერდებოდა, მკვიდრად იკიდებდა ფეხს, იზრდებოდა და ემსგავსებოდა ნამდვილს მწყობს ჯარს, რომლის ძალა და მნიშვნელობა ისე დამკვიდრდა ბოლოს, რომ მან ყოველივე შესაბამი უფლებანი და უპირატესობანი მიიღო. პოლკი გადაკეთდა დრუჟინად 1848 წელს. მოღვაწეობა ამ ქართველი ქვეითის ჯარისა დაარსებიდამვე შესანიშნავია, განსაცვიფრებელი და ღრმად საგულისხმიერო. საომარი ღვაწლი მისი ერთი გრძელი მოთხრობაა, რომლის სისხლით შესვრილი ფურცლები, ავტორისა არ იყოს, თვალ-ნათლად გვიმოწმებს, რა შესძლებია თუნდ ერთს მუჭა ხალხსაც, რომლის კულტურული ძალა დიდია, რომელსაც ისტორიული მომზადება ხანგრძლივი ჰქონია, გრძნობა მამულისა და ქვეყნის დაცვისა მხურვალე გრძნობად გადაჰქცევია. რა მოინაღვაწა ჩვენმა მილიციამ თავის 50 წლის არსებობის განმავლობაში, ამას თვით წიგნიდამ ამონაკრეფი ადგილები დაგვანახვებენ. მაგრამ, ვიდრე სრულიად მილიციის საქმეებს გავიხსენებდეთ, თითო-ოროლა მისი წარმომადგენელის ხასიათი უნდა გავმარტოთ. ვერ წარმოიდგენს კაცი, რა სიმამაცეს, გმირობას, გონების გამჭრიახობას თავდადებას იჩენდა თითოეული თუნდ სულ უხეირო მილიციელი. რომელიმე ჩაჩულია მილიციელი ბრძოლისა და ყიჟინის დროს გმირად გადიქცეოდა ხოლმე და ხან მთელს პოლკსა და ლაშქარსაც ნამდვილ საფრთხიდგან გადაარჩენდა. რაღა უნდა ვსთქვათ იმ გვარს კაცებზე, როგორიც იყო შეთე ბლუხაიძე, სიკო იაშვილი, ციხემა ტურაშვილი, პრაპორშჩიკი ლიონიძე, ძმანი ჯანდიერნი და სხვ.; ესენი კაცები კი არ იყვნენ, ნამდვილი გმირები; იყვნენ ზოგიერთა მათი საქციელი საკვირველებიდამ გამოიყვანს კაცს, მათ გულადობა, გამბედაობა, მკლავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის? ბ. ალნიაშვილი ქუთაისში არაოდეს არ გვინახავს, ვერც ვიცნობთ და ვერც გვიცნობს, არ იცის, რა ამბები მოხდა ქუთაისის კათოლიკეთა სამრევლოში ამ ერთს წელიწადში, ამდგარა ყოვლად უსაფუძვლოდ და ცარიელი ლიტონის სიტყვებით გვწერს სამდურავს.

„იცოდა, მაგრამ მაინც დაჰკიჟინა ჩვენს სკოლასაო“ ჯერ ერთი; როგორც წინად მოგახსენეთ, თბილისის სკოლებზე კრინტი არ დამიძრავს და თუ არ ვახსენე მათი ახალი წესდება, მისთვის რომ ეს სრულებით არ შეეხებოდა იმ საგანს, რაზედაც მე ვწერდი. მე აღვწერე, რაც მოხდა ქუთაისის კათოლიკეთა სამრევლოში ამ უკანასკნელ დროს და რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ საქმესთან თბილისის დაუმტკიცებელ წესდებას. შემდეგ იმისა, რომ პრელატმა წარმოგვიდგინა 1856-ის წლის წესდება, ჩვენ ახალ წესდების არსებობაზედაც ეჭვი შეგვივიდა; ვიფიქრეთ — უთუოდ სტოლის ქვეშ ამოდესო.

ბ-ნს ალნიაშვილს ჰსურს ვაჩვენო ერთი იმისთანა რამე ქუთაისის კათოლიკეთა სკოლების წესდებაში, რომ თბილისის სკოლების წესდებაში არ იყოს. რაც ქუთაისის წესდებაშია, ბევრი სხვა რამ უკეთესიც არისო. ღმერთმაც ინებოს. ჩვენ სულით და გულით გვსურს თბილისის კათოლიკეთა სკოლების წარმატება. ჩვენ ცნობა არა გვაქვს თბილისის სკოლების წესდებისა. თურმე ეს წესდება დღითი დღე იზრდება. ზანცვიფრებული კი ვართ, ოთხი წლის განმავლობაში, რითი ვეღარ დაამთავრეს წესდება და პროგრამა! მაინც-და-მაინც რა ასე დიდი საქმეა პირველ დაწყებითი სკოლების წესდების და პროგრამის შედგენა!

ამითი ვათავებ ჩემს პასუხს ბ-ნი ალნიაშვილის მიმართ. ჩემი წერილი თუ როგორმე შეეხო კათოლიკეთა სკოლებს, შეეძლო ბ-ნს ალნიაშვილს ეთქვა — წესდება თბილისის სკოლების 1856 წ. დამტკიცებული თბილისის სკოლებისათვის, გაუქმებულიაო: ეს კმაროდა. უთავბოლოდ ლაპარაკი არ შეჰფერის არავის და მეტადრე პედაგოგს.

ალ. აკოფაშვილი.

## უცხოეთი.

—

**საფრანგეთი.** თუ სადამდის მიაღწევს სიმძულვარე ჩინეთისა საფრანგეთისადმი ეს შეიძლება კაცმა დაინახოს ქვემო მოყვანილის პროკლამაციიდამ, რომელიც კანტონის ვიცე-კოროლს გამოუცია ამ თვე-ნახევრის წინად. დიდს ჯილდოს მიიღებსო, ეწერა თურმე სხვათა შორის ხსენებულს პროკლამაციაში, ის ჩინელი, რომელიც ფრანცუზის აფიცრის და სალდათის თავს წარმოადგენსო. ჰონ-კონგის მცხოვრებთ (ჩინელები) ეს განცხადება დიდის ალტაცებით მიიღეს და თავისებურადაც ახსნეს იგი; ე. ი., ჯილდოს მიიღებს ყოველი, ვინც-კი წარადგენს ფრანცუზის თუნდ სხვა უცხოელის, მოჭრილს თავს. რასაკვირველია, ამ გვარს განცხადებას ვიცე-კოროლისას წინააღუდგენ ყველა ევროპის სახელმწიფოთა ელჩები ჰონკონგისა, და იძულებულ ჰყვეს ვიცე-კოროლი, გამოეცა ახალი პროკლამაცია. ეს მეორე პროკლამაცია აუწყებდა ჩინელ მცხოვრებთ, რომ მათ ხელი არ უნდა ახლონ მშვიდობიან მცხოვრებთ ქვეყნისას — საფრანგეთელი იქნება ის თუ სხვა უცხოელი, რომ ჯილდოს ის მიიღებს მხოლოდ, რომელიც საფრანგეთის სამხედრო სამსახურის კაცის თავს წარმოადგენსო. მაგრამ ამ მეორე განცხადებამ ეხლა ვიცე-კოროლის მოხელეთაგან გამოიწვია საყვედური და კიდე ხელ-ახალი, მესამე დეკრეტი. ამ დეკრეტით მოლალატედ იქმნებოდა ცნობილი ყოველი ჩინელი, რომელიც რაიმე კავშირს დაიჭერდა ფრანცუზთან, რაიმე სამუშაოს აიღებდა მისგან და სასტიკადაც დაისჯებოდა არა მარტო იგი — მისი მთელი ოჯახიც. ყოველი ჩინელი უნდა ცდილიყო რაც ღონე მოსდევდა, ვნება მიეცა ფრანცუზისათვის: დაეღუპა მისი გემები, მოეწამლა საჭმელ-სასმელი, რომელსაც ფრანცუზს მიჰყიდდა და სხვ. და სხვ.

—

**ინგლისი.** კარგა ძალ ხარჯში ჩააგდო გენ. გორდონმა თვისი მთავრობა: «ას ოცი მილიონი მანათი დასჭირდებაო ინგლისს გენ. გორდონის დახსნისათვის. «არა, რა ეშმაკი მიარბენინებდა გენ. გორდონს იმ სუდანში»?! მოლიერის სკაპენისა არ იყოსო. სუდანის მცხოვრებლები სიბრაზით უყურებენ ბრიტანიის ხელმწიფებას თავის თავზედ და სრულიად თანაუგრძნობენ მაჰდის. გენ. უელსლეი დონგოლაშია და ცუდს ყოფაშიაც ჩავარდება, რადგან ყველა პროვინციების გუბერნატორებს აღუთქვამთ, რომ როგორც მაჰდი მოადგება თავის ჯარებით დონგოლას ყველა მცხოვრებნი მისკენ გადავლენ. საეჭვოა აგრეთვე — ადგილობრივ ჯარებმაც არ დაიჭირონ მაჰდის მხარე.

—

**გერმანია.** ნოემბრის 8-დამ გაიხსნა გერმანიის რეიხსტაგის კრება. სატახტო სიტყვა თვით იმპერატორს ვილჰელმს წარმოუთქვამს. ამით ცრუვდება იმპერატორის ავადმყოფობაზე გავრცელებული ხმები. — ახალს რეიხსტაგს შეადგენენ: კლერიკალურის ცენტრის წევრნი 106; კონსერვატორის დასისა ითვლება 74 წევრი; ლიბერალებისა — 65; ნაციონალ-ლიბერალებისა — 50; კონსერვატიულ-ლიბერალებისა — 28; სოციალისტებისა — 24; პოლშელებისა — 15; ელზას-ლორენელებისა — 14 და დემოკრატებისა — 8.

—

**იტალია.** ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის ულტრამონტანული გაზეთები ერთობ გესლიანად ჰკიცხვენ ლიბერალურ კათოლიკეთა მოქმედებას და ამ გარემოებამ გამოიწვია ის გაფრთხილება, რომელიც პაპა ლევ XIII-ს გაუგზავნა ხსენებულს გაზეთებს. პაპს მიუწერია პარიჟის ნუნციაში, რომ საჭიროა თანხმობა არსებობდესო კათოლიკეთა შორის, რომ ეკლესიას მხოლოდ პაპა და მისი ქვეშევრდომი სამღვდელოება უნდა მართვიდეს და ყველა დანარჩენები მას უნდა ექვემდებარებოდენო. თუ გაზეთები ამ ამ გვარს კილოს არ დააგდებენ ამით დიდს ვნებას მოუტანენ უპირველესად თვით ეკლესიასო.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 14.

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი მობრძანდენ თავიანთ უავგუსტოესის შვილებით პეტერბურგს.

დღეს ხელმწიფე იმპერატრიცის დაბადების დღის გამო ისაკიევის ტაძარში უმაღლესის კარის დიდებულთა თანა-დასწრებით იყო წირვა და გადახდილ იქმნა პარაკლისი; სატახტო ქალაქი ბაირაღებით არის მორთული.

„ს. პეტერბურგის უწყებებში“

---

ძლიერება და ქველობა სწორედ ძველებური, მამა-პაპური აქვთ.

დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს. მე ვიცი „ქართველთ ქვეითი დრუჟინის“ ისტორიის წიგნში, რომელიც თითქმის 400 გვერდს შეიცავს, ძებნა მოგვინდება მილიციელების გმირობის და თავგამოჩენისა; რომელ გვერდზედაც გინდა გადაფურცლე, ყველგან მილიციის „საქმენი საგმირონია“ ჩაწერილი.

სხვათა-შორის წიგნის მე-38 გვერდზე მოთხრობილია შემდეგი: „რომ სიმამაცის სახელი ტყუილად არ დაუგარდა პოლკს — მოგვითხრობს ავტორი — ხსნის იმ გარემოებიდამაც, რომ ერთი რაზმი ამ პოლკისა, რიცხვით 25 კაცამდე ერთის ურიადნიკითურთ, რომელნიც იყვნენ კეთილ საიმედო და მამაც კაცებად, თიბათვეში გაგზავნილ იქმნენ ახალ-ზაქათალის ციხეში, რათა გაეწურთვნათ სალდათები მე-12 და მე-13 (ЛИНЕЙНЫЙ) ლინეინის ბატალიონებისა მთიელებთან უფრო სერხიანად ბრძოლაში და ესწავლებინათ ამათთვის ამ გვარის ომების ყოველ-გვარი კითარება. რაზმში ოთხი ოფიცერი ერია: პრაპორშჩიკები თავადნი გიქო გურამიშვილი, გიორგი ციციშვილი, ივანე ვახნაძე და აზნაური პრაპორშჩიკი ზალდასტანიშვილი. ხსენებული რაზმი ყოველ ორ დღეში ერთხელ ათვალიერებდა ზაქათალის ახლო მდებარე მთებს, დაწყობილი სოფ. მანეხიდან, ზაქათალის ხეობის ზემოთ ტალის ხეობით მუხახის ხეობამდე. რაზმს თან მიჰყავდა თავისოდენივე სალდათი ორთავე ბატალიონებისაგან რამდენიმე უნტეროფიცერითურთ, და თითო ოფიცერი ყოველ ბატალიონიდგან, „რათა ესწავლებინათ აგრეთვე ამათთვისაც მიდამო ადგილნი, გაეხადნათ სასარგებლონი და გამოსადეგნი მაშინდელის სამსახურისათვის და გაემხნევებინათ, რადგან მხნეობა საჭიროა სალდათისათვის“ (რაპორტი კორპუსის კომანდირისადმი ჭარბელაქანის ოლქის უფროსისა 3 თიბათვიდამ 1836 წ., № 478.)

„ამ სახით, — განაგრძობს ბ-ნი ნ. ა. ვოლკონსკი, — მხნეობა 1-ის ქართველთ ქვეითის პოლკისა, რომელშიაც მოიძებნებოდენ მასწავლებელნი და ხელ-მძღვანელნი სალდათისათვის, სრულიად მოკლე დროს განმავლობაში შეიქმნა თვალსაჩინო ჩვენ, კავკასიელ-ჯართ შორისაც კი, იმ ჯართ შორის, რომელშიაც მამაცობას და ვაჟკაცობას ეჭირა პირველი და პატივსაცემი ადგილი. პოლკი დიდის გატაცებით და პატიოსნებით სცდილობდა, რომ გაემართლებინა და დაემკვიდრებინა ეს საქმე სახელი და არამც თუ არ მომხდარა იმ დროს, რომ იგი როდისმე შემდრკალიყო მტერთან ბრძოლის დროს, არამედ პირ-იქით, როცა კი შეხვდებოდა მას, პირველი ესხმოდა თავს მაშინაც კი, ოდეს იგი რამდენჯერმე უფრო მძლავრი იყო. მაგ. ამ გვარი საქმე მოხდა 1-ს ოქტომბერს 1836 წ. ამ დღეს ყარათუბანის სიმაგრიდგან გაგზავნილ იქმნა პატრული ხუთის კაცისგან. ეს ხუთნი თუშები იყვნენ. ტყე-ტყე სიარულის დროს ამათ შენიშნეს ოცდა ათ კაცამდე გულხოდარელები, რომელთაც მზვერავები ვერ დაინახეს. თუშები, იმის მაგიერად რომ პოსტზე დაბრუნებულიყვნენ და შეეტყობინებინათ ეს ამბავი, ჩასაფრდნენ ტყეში და იქიდამ დაუშინეს თოფები. მაგრამ ეს სიმამაცე პირველ წამს მათ მწარედ დაუჯდათ: ორი მათგანი მოკლულ იქმნა იქვე. სამმა დარჩენილმა, თუმცა ძალიან გაჭირებულ მდგომარეობაში იყვნენ, გაქცევა არ იკადრეს, და ასწლოვან ჭანდრებს მოფარებულნი, იცავდენ თავიანთ თავს და უფრო მეტად თავიანთ ამხანაგებს. დიდხანს გაგრძელდა ეს ბრძოლა; ლეკებს ეგონათ, რომ ერთს თხუთმეტს კაცს მაინც ებრძვიან და ამისათვის ხმალ და ხმალ მისვლა ვერ გაუბედნათ. იგინი არა ზოგავდენ თავიანთ ტყვია-წამალს და ყოველი მათი სროლა უქმად რჩებოდა, და მხოლოდ ჭანდრების მაგარს ქერქსა ხვდებოდა. თუშების ყოველი ტყვია კი მიზანში იღებდა ლეკებს. ბოლოს კარგა ბლომად რომ დაეხოცათ კაცები გულხოდარელებს და მასთან, რომ შეეშინდათ კიდეც ვაი თუ მოეშველნენ ამათაო, იძულებული შეიქმნენ უკან დაეწიათ. ეს ამბავი მოწმობს, რა ვაჟკაცობისა და თავგანწირულის მამაცობის მქონენი იყვნენ ახალგაზრდა პოლკში მომსახურენი და საარაკო ამბავად ჩაითვლებოდა, რომ თვით ოლქის უფროსს ნამდვილ ფაქტად არ აღეარებინა იგი (მოხსენება კორპუსის კომანდირისადმი 31 ოკტომბრიდამ 1836 წ. № 500).

(შემდეგი იქნება).

სწერია, რომ სახემწიფო ხარჯისთვის ცალკე მმართველობათა შემოღებისათანავე, ხარჯის მოკრეფაზე თვალ-ყურის გდება მიენდობა სათემო ზედამხედველებს. ზედამხედველებმა უნდა თვალ-ყური ადევნონ თემებს, მოისმინონ გლეხების საჩივარნი, მოახსენონ სახემწიფო ხარჯის მმართველობათა და საგლეხო საქმეთათვის დაარსებულს სამაზრო დაწესებულებას (уѣздное по крестьян. дѣламъ присутствіе) სასოფლო და სათემო მთავრობის პირთა შესახებ, უკეთუ ეს უკანასკნელნი არ ასრულებენ თავიანთ თანამდებობას, აწუხებენ გლეხებს, ან ხარჯავენ საზოგადოების ფულს; თუ სათემო მთავრობამ არ იხმარა ღონის-ძიებანი ხარჯის თავის დროზე შესაკრებლად, ზედამხედველი ძალას ატანს მას ენერგიული საშუალებანი იხმაროს, მაგრამ ისე კი, რომ გლეხნი მეტის-მეტად არ შეაწუხონ და არ დაარბიონ; იმ საზოგადოებათა შესახებ, სადაც დაუყოვნებელ მოკრეფას დარჩენილის გადასახადისას შეიძლება მეტის-მეტი შევიწროება მოჰყვეს გლეხებისა და უფრო მეტად გააბევროს მათზედ დარჩენილი გადასახადი, ეთხოვოს სამაზრო მმართველობათა რომ გადასდონ მათი შემოტანა ან წვრილ-წვრილად გადაახდევინონ; ამ გვარ საშუალებათა მიღებისათვის ნება-რთვა უნდა აღებულ იქმნას სახემწიფო ხარჯთათვის დაარსებულს საგუბერნიო დაწესებულებისაგან; ხოლო თუ ამ საშუალების მიღება შეეხება დიდს ფულს — ფინანსთა მინისტრისაგან.

ნოემბრის 15-ს.

პეტერბურგი. ს. პეტერბურგის უწყებანი გვაუწყებენ, რომ გუბერნიის სახარჯო დაწესებულებათ უნდა განაგონ ყოველი ხარჯის საქმე გუბერნიის, რომლისა გამოც ადგენენ პროექტს დებულებისას. შესახებ ხარჯის გამორთმევისა იმ პირთაგან, რომელნიც სასოფლო საზოგადოებას არ ეკუთვნიან.

ვენა. დღეს საგანგებო სასამართლოში დაიწყო საქმე 20 პირის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ საიდუმლოს ბეჭვდა და გავრცელება ანარხიულის თხზულებებისა.

ბერლინი. რეიხსტაგმა 180 ხმის უმეტესობით 99 წინააღმდეგ გადასწყვიტა, რომ დეპუტატებს ეძლეოდეთ შრომის ფასი საპარლამენტოს სხდომების დროთისათვის. ბისმარკი ამის წინააღმდეგი იყო და სიტყვის დროს სთქვეს, რომ ამ ათის წლის განმავლობაში ნამდვილი ნაციონალური პარლამენტი გერმანიაში არ არსებობსო. მხოლოდ ზოგიერთ დეპუტატებსა სწადიათ სიკეთე იმპერიისა; სხვებს უნდათ ან ის, რომ ეკლესია უფროსობდეს სახელმწიფოზედ, ან რესპუბლიკაო. განსაკუთრებით ბისმარკი ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის უფროსობას, ლიბერალურ ოპოზიციისაგან აღიარებულს და გამოაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა უნდა მიიღებდეს სხვები არა თუ პარლამენტის ნებას, არამედ ყველა გერმანიის მთავრობათა ნებასაც.

პარიჟი. ფერიმ შეატყობინა დეპუტატთა პალატას, რომ ინგლისი ჩინეთის სურვილით, შუამდგომლობას კისრულობს საშუალებით მორიგებასაო. საფრანგეთი დასთანხმდა, მაგრამ ჩინეთმა მოითხოვა: რომ საფრანგეთმა უარ-ჰყოს მფარველობა ანამზედ; შეურთოს საფრანგეთს მხოლოდ ტონკინის ნაწილი და აქედამ არა ჰქონდეს ნება ფრანცუზების საქონლის შეტანისა ჩინეთის პროვინციებში. ამის პასუხად პარლამენტმა უნდა 48 მილიონი გადასდოს ჩინეთთან ბრძოლის გაგრძელებისათვისაო. პალატამ ფერის წინადადება თანაგრძნობით მიიღო.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდამ 9 საათამდის. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი — 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი — 10 — 11 საათამდე. — სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11 — 12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9 — 10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10 — 11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 — 10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11 — 12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10 — 11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — — 1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — — 1 გ. $2^1/_2$

მეორისა — — — 1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის — 1 გ. $4^1/_2$

მეორისა — — — 1 გ. 3 კ.

მესამისა — — — 1 გ. $2^1/_2$

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.

მეორისა — — — 1 გ. 6 კ.

სუკი . . . — 1 გ. 14 კ.

ცხვრის ხორცი — 1 გ. 7 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.

მეორისა — — — 1 გ. 6 კ.

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

ნოემბრის 18-დამ მიიღება ხელის-მოწერა ყოველ დღიურს გაზეთზე

„თბილისის განცხადებანი“

1885 წ.

ფასი გაზეთისა: ქალაქის ხელის მომწერთათვის, შინ მიტანით, ერთის წლით 3 მან., ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის გაგზავნით 4 მან.; ცალკე №-ი 3 კაპ.

ვინც ეხლავ მოაწერს ხელს ფას დაუმატებლივ გაეგზავნება გაზეთი 1885 წლის იანვრის 1-ლიდამაც.

კანტორა რედაქციისა იმყოფება ბარიატინსკის ქუჩაზე, როტინოვის სახლებში (ადრე ბელოისა).

რედაქტორი-გამომცემელი
ი. ბ. პოპოვი.

(3—1)

გამოვიდა და ისყიდება

## ელისო

მოთხრობა ჩვენელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა. არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. ღილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—9)

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Ноября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.